საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და
საპროცედურო საკითხთა კომიტეტი

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ბათუმი, ლუკა ასათიანის 37

28/04/2023
N 722

722-09-02-11-3-202304281243

საორგანიზაციო და საქმისწარმოების
დეპარტამენტის უფროსს

ბატონ **გიორგი ბერიძეს**

საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის

დ ა ს კ ვ ნ ა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის პროექტზე - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“ (№09-01-08/46, 11.04.2023)

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის 2023 წლის 28 აპრილის სხდომაზე გამარტივებული წესით - ერთი მოსმენით განხილულ იქნა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრის მარინე გვიანიძის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის პროექტი – „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“ (№09-01-08/46, 11.04.2023).

I. რეგლამენტის პროექტის ძირითადი არსი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროების ძირითადი მიმართულებების შესახებ ინფორმაციის განხილვა განეკუთვნება საბიუჯეტო უფლებამოსილებას, რომლისთვისაც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში დათმობილია 118-ე მუხლი. ძირითადი მიმართულებების შესახებ ინფორმაციის განხილვა პრაქტიკაში მოიცავს რამდენიმე ეტაპს, უმაღლეს საბჭოში რეგისტრაციიდან საბოლოო დასკვნის მომზადებამდე. რეგლამენტის 118-ე მუხლი სრულად არ ასახავს სამუშაო ციკლს. კერძოდ, არ არის დადგენილი დოკუმენტის უმაღლეს საბჭოში რეგისტრაციიდან კონკრეტულ სუბიექტებზე გადაცემის ვადა და მიწოდებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე რეგლამენტის პროექტის მიზანია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროების ძირითადი მიმართულებების ინფორმაციასთან დაკავშირებული სამუშაო პროცესის ყველა ეტაპის საკანონმდებლო რეგლამენტაცია.

II. რეგლამენტის პროექტთან დაკავშირებით საკომიტეტო განხილვამდე გამოთქმული მოსაზრება/შენიშვნა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 91-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სუბიექტების მიერ რეგლამენტის პროექტთან დაკავშირებით საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტში (წამყვანი კომიტეტი) შენიშვნები არ არის წარმოდგენილი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 91-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე, რეგლამენტის პროექტთან დაკავშირებით კომენტარის სახით მოსაზრება/შენიშვნა არ დაფიქსირებულა.

III. რეგლამენტის პროექტის შეფასება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტს რეგლამენტის პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გააჩნია.

დასკვნითი ნაწილი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 91-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტმა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრის მარინე გვიანიძის მიერ ინიციირებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის პროექტი - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“ უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე გამარტივებული წესით - ერთი მოსმენით განხილვისათვის მომზადებულად მიიჩნია.

პატივისცემით,

ვლადიმერ მგალობლიშვილი

კომიტეტის თავმჯდომარე